დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები: 09 მარტი - 06 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 04 მაისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 17

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 22

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 24

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 29

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე ბაკარაძე,** შავი ზღვის საერთაშრისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე ფიფია,** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Master Program in English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი Master of English Philology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ენის დაუფლება 0231
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული-18.12.2019, N255
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, სფეროს კოდი - 0231 (ენის დაუფლება). პროგრამის მიზანია სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული მომზადება ინგლისური ენის, ლიტერატურისა და კულტურის დარგში, კვლევითი კომპეტენციების განვითარება და კურსდამთავრებულის მომზადება სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საგამომცემლო და მთარგმნელობით სფეროებში სამუშაოდ. პროგრამა მოიცავს სულ 120 ECTS კრედიტს, შემდეგი განაწილებით: სავალდებულო სასწავლო კურსები - 75 კრედიტი, სავალდებულო არჩევითი კურსები - 15 კრედიტი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - 30 კრედიტი. თითოეული სასწავლო კურსი განისაზღვრება 5 კრედიტით. პროგრამას გააჩნია 9 სწავლის შედეგი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.02.2026 წლის MES 8 26 0000220137 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ეკატერინე ბაკარაძე (თავმჯდომარე) და ეკატერინე ფიფია (წევრი) განახორციელა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შეფასება. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს დოკუმენტები, რომლებიც დაწესებულებამ წარმოადგინა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შეფასება შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

I სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტთან

II სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან

IV სტანდარტი - ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია სტანდარტთან

- **რეკომენდაციები**

1.3. რეკომენდებულია პროგრამაზე მომუშავე გუნდმა გადახედოს კურიკულუმის რუკას და შეიმუშაოს სწავლის შედეგების მიღწევის დონე, სამიზნე ნიშნულები და ასახოს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

2.1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას დაემატოს სპეციალობასთან დაკავშირებული შეფასებისკომპონენტი.

2.4. რეკომენდებულია, ხელმძღვანელის შეფასება ჩამოყალიბდეს როგორც ფორმატიული უკუკავშირი, რომელიც წვლილს შეიტანს საბოლოო შეფასებაში და არა როგორც დამაბრკოლებელი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუშლის სტუდენტის დასკვნით შეფასებას.

4.2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უფრო მეტად გააძლიეროს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობა, მათ შორის საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების კუთხით.

- **რჩევები**

1.1.1. სასურველია, ტექნიკურად გასწორდეს პროგრამის სახელწოდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
1.1.2. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბდეს და მოიცავდეს პროგრამის შინაარსითა და სწავლის შედეგებით გათვალისწინებულ ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა თარგმანმცოდნეობა, ლექსიკოგრაფია და სამიზნე ენის დონე.
1.4.1. სასურველია, პროგრამაზე მომუშავე გუნდმა გადახედოს პროგრამის სტრუქტურაში კრედიტების გადანაწილებას თითოეული სასსწავლო კურსის შინაარსისა და სიღრმეების გათვალისწინებით.
1.4.2. სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში მოხდეს თავისუფალი კრედიტების გათვალისწინება.
1.5.1. სასურველია, პროგრამაზე მომუშავე გუნდმა სტილისტურად გადახედოს ორი სასწავლო კურსის „ინგლისური ლექსიკოგრაფიის პრობლემები" და „ინგლისური ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევის პრობლემები" დასახელებას.
1.5.2. სასურველია ლიტერატურა განახლდეს ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა 'ინგლისური ლექსიკოგრაფიის პრობლემები', 'კვლევის თანამედროვე მეთოდები და დიზაინი', 'ინგლისური ენის მორფოლოგიის და სინტაქსის კვლევის პრობლემები', 'ინგლისური ენა C1.1/Advanced/I', 'ინგლისური ენა C1.2/Advanced/II', 'მხატვრული თარგმანი', 'დისკურსის ანალიზი', 'უახლესი ლინგვისტური თეორიები და მეთოდები', 'ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობები', 'ინგლისური ესსე', 'მეტაფორის თეორია', 'ლექსიკური სემანტიკა', და 'სოციოლინგვისტიკა'.
1.5.3. სასურველია, სასწავლო კურსები უფრო მეტად გამდირდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურით.
2.1. სასურველია ვებგვერდზე განახლდეს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

2.2. სასურველი იქნება, რომ მომავალში სასწავლო კურსებში გაიზარდოს კვლევითი პროექტების წილი შეფასების საერთო სისტემაში.
2.3. სასურველია თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და ციფრული ინსტრუმენტების უფრო აქტიური ინტეგრირება სწავლების მეთოდებში.

4.1. სასურველია ტექნიკურად გასწორდეს და თანხვედრაში მოვიდეს აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივ მონაცემები წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და ვებგვერდზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად**:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში სულ ჩართულია 11 აკადემიური პერსონალი: 4 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტი, აგრეთვე 3 მოწვეული პერსონალი. მათგან 7 დარგობრივი მიმართულებითაა, საიდანაც

3-ს გააჩნია დოქტორის ხარისხი დარგში. პროგრამაში ჩართულია 8 აფილირებული პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობა არის 6.

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - -სამიდან მხოლოდ ერთ პროფესორს აქვს ბოლო გამოქვეყნება 2026 წელს, ხოლო დანარჩენს ორს აქვს 2024 და 2011 წლებში. დანარჩენი 8 აკადემიური პერსონალის პუბლიკაციები ბოლო წლებში გამოიყურება შემდეგნაირად: 3- 2025 წელი, 4- 2024 წელი და 1- 2019. პუბლიკაციების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების ტენდენციები დაბალია.

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** - ეს ინფორმაცია არ არის მოცემული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** - ეს ინფორმაცია არ არის მოცემული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[4]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

  დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები

  - **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.** ეს ინფორმაცია არ არის მოცემული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	მეტწილად შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	მეტწილად შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე]
[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არ შეცვლილა ამ საანგარიშო პერიოდში. შეიცვალა პროგრამის სახელწოდება: 'ანგლისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა' შეიცვალა ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებით.
თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება „ინგლისური ფილოლოგია" სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან 'მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა ინგლისური ფილოლოგიის დარგში, მოამზადოს დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური ფილოლოგი, რაც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას, როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში'. აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე საგანმანათლებლო პროგრამის ძველი სახელწოდებაა მითითებული- 'ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამა'. სასურველია, ტექნიკურად გასწორდეს პროგრამის სახელწოდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
პროგრამის მიზანი, ასევე, 'სიღრმისეულად მოიცვას დარგის თეორიული და პრაქტიკულ-ლინგვისტურ-ლიტერატურათმცოდნეობრითი კვლევით ასპექტებს'. თუმცა, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბდეს და მოიცავდეს პროგრამის შინაარსითა და სწავლის შედეგებით გათვალისწინებულ ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა თარგმანმცოდნეობა, ლექსიკოგრაფია და სამიზნე ენის დონე.
თვითშეფასების დოკუმენტში აღწერილია ინგლისური ფილოლოგიის სფეროს თანამედროვე ტენდენციები. თუმცა არ არის აღნიშნული კონკრეტულად რა გამოცდილების გაზიარება მოხდა. თვითშეფასების ანგარიშში ასევე ყურადღება გამახვილებულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის თავისებურებებზე, რაც გულისხმობს 'სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას ინგლისური ენის, ლიტერატურისა და კულტურის სფეროში; ენობრივ, ენათმეცნიერულ, თარგმანმცოდნეობით, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტურათმცოდნეობით საკითხებს; კვლევით და ანალიტიკურ უნარებს'.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;

- პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

1.1.1. სასურველია, ტექნიკურად გასწორდეს პროგრამის სახელწოდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
1.1.2. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბდეს და მოიცავდეს პროგრამის შინაარსითა და სწავლის შედეგებით გათვალისწინებულ ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა თარგმანმცოდნეობა, ლექსიკოგრაფია და სამიზნე ენის დონე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ შეცვლილა ამ საანგარიშო პერიოდში. შეიცვალა მხოლოდ მათი ფორმულირება, რითაც შესაბამისობაში მოვიდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. განახლებული ფორმულირებით საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამის 9 სწავლის შედეგი სამ კომპონენტად არის ჩაშლილი: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია პროგრამის სავალდებულო კომპონენტების შინაარსი და შედეგები. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია ინგლისური ენის სტრუქტურის, ლიტერატურის ისტორიისა და თანამედროვე ენათმეცნიერული თეორიების სიღრმისეული ცოდნა. იგი თავისუფლად იყენებს ენას C1 დონეზე, წარმართავს ლინგვისტურ, ლიტერატურულ და დისკურსულ ანალიზს, აგრეთვე ახორციელებს მხატვრულ და სპეციალიზებულ თარგმანს ინგლისურსა და ქართულს შორის. კურსდამთავრებული კომპეტენტურია დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის განხორციელებაში, ეფექტიანად ურთიერთობს აკადემიურ და პროფესიულ გარემოში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით და გააზრებულად უძღვება საკუთარ პროფესიულ ზრდას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კულტურათაშორისი პატივისცემის პრინციპების მტკიცე დაცვით.

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, შეესაბამება კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნებსა და სწავლის სფეროს სპეციფიკასა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამა;

რეკომენდაციები

- არ გაცემულა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტში მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს სასწავლო კურსების კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებთან. ცხრილი 16 სასწავლო კურსს მოიცავს და სწავლის შედეგები სამ ბლოკად არის დაყოფილი: ცოდნა და გაცნობიერება (სშ-1, სშ-2), უნარი (სშ-3–სშ-7) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (სშ-8, სშ-9). კურიკულუმის რუკის მიხედვით, ენის პრაქტიკული კურსები -ინგლისური ენა C1.1 და C1.2 - უკავშირდება პროგრამის პირველ, მესამე და მეხუთე სწავლის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ პირველი სწავლის შედეგი ინგლისური ენის სტრუქტურის, თანამედროვე ენათმეცნიერული თეორიებისა და კვლევის მეთოდების ცოდნას გულისხმობს, მეხუთე კი — მხატვრული და სპეციალიზებული თარგმანის განხორციელების უნარს. თუმცა, C1 დონის პრაქტიკული კურსები, თავისი არსით და მიზნობრიობით, უპირველეს ყოვლისა პრაქტიკულად ენობრივი კომპეტენციის განვითარებაზეა ორიენტირებული და არა თეორიულ-ანალიტიკური ან თარგმანმცოდნეობითი უნარების ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია პროგრამაზე მომუშავე გუნდმა დააზუსტოს და გადახედოს ამ კავშირების დასაბუთებას, რათა კურიკულუმის რუკა მაქსიმალურად ზუსტად ასახავდეს თითოეული კურსის რეალურ წვლილს სწავლის შედეგების მიღწევაში.

თვითშეფასების დოკუმენტში სწავლის შედეგების შემფასებლად მითითებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფის წევრები და მტკიცებულად-პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფის ანგარიშები. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფის ანგარიშები.

ასევე, თვითშეფასების დოკუმენტში აღწერილია პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტი. ცხრილში მოცემულია სასწავლო კურსი- კვლევის თანამედროვე მეთოდები და დიზაინი

და სამაგისტრო ნაშრომი. ამ კომპონენტებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევა ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების საშუალებით. თუმცა, არ არის აღწერილი რა შეფასების ინსტრუმენტები იგულისხმება პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებში. მთლიანობაში, კურიკულუმის რუკა არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიცაა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, სწავლის შედეგების მიღწევის დონე და სამიზნე ნიშნულები. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამაზე მომუშავე გუნდმა გადახედოს კურიკულუმის რუკას და შეიმუშაოს სწავლის შედეგების მიღწევის დონე, სამიზნე ნიშნულები და ასახოს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები

1.3. რეკომენდებულია პროგრამაზე მომუშავე გუნდმა გადახედოს კურიკულუმის რუკას და შეიმუშაოს სწავლის შედეგების მიღწევის დონე, სამიზნე ნიშნულები და ასახოს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა არ შეცვლილა ამ საანგარიშო პერიოდში. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 120 კრედიტს. აქედან ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 75 კრედიტს და არჩევითი სასწავლო კურსები- 15 კრედიტს. კვლევითი კომპონენტისთვის განსაზღვრულია 30 კრედიტი.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: აკადემიური წერა, ინგლისური ლექსიკოგრაფიის პრობლემები, კვლევის თანამედროვე მეთოდები და დიზაინი, ჩოსერი, შექსპირი და ინგლისური რენესანსი, ინგლისური ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევის პრობლემები, ინგლისური ენა C1.1 (Advanced I), ჯონ მილტონი და მისი ეპოქა, ინგლისური ენა C1.2 (Advanced II), მხატვრული თარგმანი, ლინგვოკულტუროლოგია, პრაგმატიკა, დისკურსის ანალიზი, უახლესი ლინგვისტური თეორიები და მეთოდები და ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ტიპოლოგია.

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით არჩევით სასწავლო კურსებს სტუდენტი ირჩევს ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან. სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში მოხდეს თავისუფალი კრედიტების გათვალისწინება.
საგანმანათლებლო პროგრამში არსებული ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსი განისაზღვრება 5 კრედიტით, თუმცა აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საგანი არსებითად განსხვავებულ სასწავლო დატვირთვას მოითხოვს სტუდენტისგან. მაგალითად, ინგლისური ენა C1.1 და C1.2 პრაქტიკული ენობრივი კურსებია, რომლებიც გულისხმობს მუდმივ ვარჯიშს, დავალებების შესრულებას და კომუნიკაციური უნარების განვითარებას, მაშინ როდესაც შექსპირი და ინგლისური რენესანსი ან ჯონ მილტონი და მისი ეპოქა მოითხოვს ვრცელი პირველწყაროების, ისტორიული კონტექსტისა და მეცნიერული ლიტერატურის სიღრმისეულ შესწავლას. ანალოგიურად, კვლევის თანამედროვე მეთოდები და დიზაინი ან უახლესი ლინგვისტური თეორიები და მეთოდები მეტ თეორიულ და ანალიტიკურ დატვირთვას შეიცავს, ხოლო მხატვრული თარგმანი კი განსაკუთრებულ შემოქმედებით და ლინგვისტურ კომპეტენციას მოითხოვს. შესაბამისად, სასურველია, პროგრამაზე მომუშავე გუნდმა გადახედოს პროგრამის სტრუქტურაში კრედიტების გადანაწილებას თითოეული სასსწავლო კურსის შინაარსისა და სიღრმეების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და სასწავლო კურსებიც ლოგიკურად არის დალაგებული. პროგრამაში წინაპირობა განსაზღვრულია მხოლოდ ერთი სასწავლო კურსისთვის- ინგლისური ენა C 1.2/Advanced/ II (ინგლისური ენა C 1.1/Advanced/ I).
პროგრამა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

1.4.1. სასურველია, პროგრამაზე მომუშავე გუნდმა გადახედოს პროგრამის სტრუქტურაში კრედიტების გადანაწილებას თითოეული სასსწავლო კურსის შინაარსისა და სიღრმეების გათვალისწინებით.
1.4.2. სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში მოხდეს თავისუფალი კრედიტების გათვალისწინება.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები მიიღწევა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მეშვეობით, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს 75 კრედიტს. წარმოდგენილ სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამში არსებული ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსი განისაზღვრება 5 კრედიტით. სხვადასხვა სასწავლო კურსებს შორის კრედიტების განსხვავებული გადანაწილების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით იხილეთ 1.4. ქვესტანდარში გაცემული რჩევა.

სასწავლო კურსების სახელწოდებების განხილვისას ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა ორი სასწავლო კურსის „ინგლისური ლექსიკოგრაფიის პრობლემები" და „ინგლისური ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევის პრობლემები" დასახელებაზე. სასურველია, რომ პროგრამაზე მომუშავე გუნდმა გადახედოს ამ კურსების სათაურებს და განიხილოს სიტყვა „პრობლემები"-ს ამოღება, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიური თვალსაზრისით ნაკლებად ზუსტია და, მეორე მხრივ, კურსის შინაარსს არასრულყოფილად გამოხატავს. მის ნაცვლად, უფრო შესაფერისი და თანამედროვე აკადემიური ტერმინოლოგიის შესაბამისი იქნებოდა ისეთი დასახელებები, როგორებიცაა „ინგლისური ლექსიკოგრაფია" და „ინგლისური ენის მორფოლოგია და სინტაქსი", ან, კვლევითი ასპექტის გამოსაკვეთად, „ინგლისური ლექსიკოგრაფიის კვლევა" და „ინგლისური ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევა". ასეთი ცვლილება არა მხოლოდ სათაურებს გახდის სტილისტურად დახვეწილს, არამედ კურსების აკადემიურ და კვლევით ორიენტაციასაც უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება როგორც სასწავლო კურსის შინაარსს, ასევე, დარგის სპეციფიკას. თუმცა, სასურველია ლიტერატურა განახლდეს ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა 'ინგლისური ლექსიკოგრაფიის პრობლემები', 'კვლევის თანამედროვე მეთოდები და დიზაინი', 'ინგლისური ენის მორფოლოგიის და სინტაქსის კვლევის პრობლემები', 'ინგლისური ენა C1.1/Advanced/I', 'ინგლისური ენა C1.2/Advanced/II', 'მხატვრული თარგმანი', 'დისკურსის ანალიზი',

‘უახლესი ლინგვისტური თეორიები და მეთოდები’, ‘ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობები’, ‘ინგლისური ესსე’, ‘მეტაფორის თეორია’, ‘ლექსიკური სემანტიკა’, და ‘სოციოლინგვისტიკა’. ასევე, სასურველია, სასწავლო კურსები უფრო მეტად გამდირდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები.

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

1.5.1. სასურველია, პროგრამაზე მომუშავე გუნდმა სტილისტურად გადახედოს ორი სასწავლო კურსის „ინგლისური ლექსიკოგრაფიის პრობლემები" და „ინგლისური ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევის პრობლემები" დასახელებას.
1.5.2. სასურველია ლიტერატურა განახლდეს ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა ‘ინგლისური ლექსიკოგრაფიის პრობლემები’, ‘კვლევის თანამედროვე მეთოდები და დიზაინი’, ‘ინგლისური ენის მორფოლოგიის და სინტაქსის კვლევის პრობლემები’, ‘ინგლისური ენა C1.1/Advanced/I’, ‘ინგლისური ენა C1.2/Advanced/II’, ‘მხატვრული თარგმანი’, ‘დისკურსის ანალიზი’, ‘უახლესი ლინგვისტური თეორიები და მეთოდები’, ‘ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობები’, ‘ინგლისური ესსე’, ‘მეტაფორის თეორია’, ‘ლექსიკური სემანტიკა’, და ‘სოციოლინგვისტიკა’.
1.5.3. სასურველია, სასწავლო კურსები უფრო მეტად გამდირდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.5 სასწავლო კურსი/საგანი]	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და წარმატებით აქვს გადალახული საერთო სამაგისტრო გამოცდა და ჩაბარებული აქვს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში B2 დონეზე. პროგრამაზე ასევე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აკმაყოფილებს საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ან მობილობის საფუძველზე ჩარიცხვისათვის საჭირო პირობებს. პროგრამაში დაშვების წინა პირობები ეყრდნობა მოქმედ კანონდებლობას.

აღსანიშნავია, რომ არსებული მოთხოვნები, მართალია, უზრუნველყოფს სტუდენტთა შერჩევას საკანონმდებლო დონეზე, თუმცა სრულყოფილად ვერ ასახავს ინგლისური ფილოლოგიის, როგორც სპეციფიკური აკადემიური დისციპლინის, მოთხოვნებს. კერძოდ, B2 დონის ინგლისური ენის გამოცდა, მართალია, ადასტურებს ენობრივი კომპეტენციის დონეს, მაგრამ არ იძლევა სრულყოფილ სურათს აპლიკანტის ფილოლოგიური მომზადების, ლიტერატურათმცოდნეობითი ცოდნისა თუ სპეციალობასთან დაკავშირებული პროფესიული კომპეტენციების შესახებ. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობას დაემატოს სპეციალობასთან დაკავშირებული შეფასების კომპონენტი.

პროგრამა და მასში აღწერილი დაშვების პირობები იძებნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. თუმცა იკვეთება გარკვეული უზუსტობები: პროგრამის სახელწოდებად მითითებულია 'ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამა', პროგრამის ხელმძღვანელად მითითებულია სხვა აკადემიური პერსონალი. ასევე, განსხვავებულია აკადემიური პერსონალის მონაცემებიც. ვებგვერზე მითითებულია 14 აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, სასურველია ვებგვერდზე განახლდეს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა;
- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

[რეკომენდაციები]

2.1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას დაემატოს სპეციალობასთან დაკავშირებული შეფასების კომპონენტი.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

2.1. სასურველია ვებგვერდზე განახლდეს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამ ქვესტანდარტში ექსპერტთა შეფასება ძირითადად დაეყრდნო სილაბუსებში პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ინტეგრირების საკითხს.

სასწავლო კურსებში 'უახლესი ლინგვისტური თეორიები და მეთოდები', 'ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ტიპოლოგია', 'ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობები', 'მეტაფორის თეორია', 'ლექსიკური სემანტიკა', 'სოციოლინგვისტიკა' შეფასების ერთერთ ფორმად მოიცავს საკურსო ნაშრომის შექმნას და პრეზენტაციას, რაც მიემართება სასწავლო კურსების დონეზე კვლევითი უნარების განვითარებას. თუმცა, სასურველი იქნება სასწავლო კურსებში უფრო მეტად მოხდეს კვლევითი პროექტების ინტეგრირება, რადგან სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს დახურულ კითხვებს, რომლებიც ძირითადად ცოდნის რეპროდუქციას ემსახურება და არა მის გამოყენებასა თუ გააზრებას. სასურველი იქნება, რომ მომავალში სასწავლო კურსებში გაიზარდოს კვლევითი პროექტების წილი შეფასების საერთო სისტემაში — კერძოდ, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა განახორციელონ მცირე მასშტაბის ემპირიული ან თეორიული კვლევები, შეაგროვონ და გაანალიზონ მონაცემები, ასევე წარმოადგინონ დასაბუთებული დასკვნები. ამგვარი ცვლილება არა მხოლოდ გააძლიერებს კვლევითი უნარების განვითარებას, არამედ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს სასწავლო პროცესს სამეცნიერო საქმიანობასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლინგვისტიკის სფეროში მომავალი სპეციალისტების პროფესიული ჩამოყალიბებისთვის.

პროგრამის სტრუქტურა არ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ინდივიდუალურად ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დეტალურად არის აღწერილი ნაშრომის შეფასები ეტაპები. სამაგისტრო ნაშრომს აფასებს ხელმძღვანელი 20 ქულით, რეცენზენტი 20 ქულით და კომისია 60 ქულით. ხელმძღვანელის შეფასებაში არსებულ მინიმიმალურ კომპეტენციის ზღვართან დაკავშირებით იხილეთ რეკომენდაცია 2.4. ქვესტანდარტში. სილაბუსში მოცემული დეტალური შეფასების რუბრიკები. ნაშრომის შესრულების კრიტერიუმები აღწერილია 'სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესში', რომელიც დამატებით დოკუმენტად გამოაგზავნა დაწესებულებამ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სამეცნიერო, კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების დოკუმენტი.

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

2.2. სასურველი იქნება, რომ მომავალში სასწავლო კურსებში გაიზარდოს კვლევითი პროექტების წილი შეფასების საერთო სისტემაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[2.2]**პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**	შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში იკვეთება სასწავლო მეთოდებსა და საგანმანათლებლო მიზნებს შორის მჭიდრო შესაბამისობას, რაც აკმაყოფილებს განათლების საფეხურთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობის კრიტერიუმს. პროგრამა იყენებს მეთოდების მრავალფეროვან სპექტრს, მათ შორის ლექციებს, ჯგუფურ მუშაობას, პრაქტიკულ სემინარებს და კვლევით მეთოდოლოგიებს, რომლებიც შესაბამისად პასუხობს სამაგისტრო საფეხურის მოლოდინებს. მეთოდები თანმიმდევრულად ვითარდება სალექციო პროცესში საბაზისო ცოდნის გადაცემიდან კრიტიკული აზროვნების უნარებამდე კვლევისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით. პროგრამა გამოირჩევა სწავლების ინტერაქტიული მიდგომებით: ჯგუფური მუშაობა, რომლებიც ეფუძნება სტრუქტურირებულ დისკუსიის მეთოდებს.

სასურველია თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და ციფრული ინსტრუმენტების უფრო აქტიური ინტეგრირება სწავლების მეთოდებში. კერძოდ, სასურველი იქნება ციფრული რესურსების, ონლაინ კვლევის პლატფორმებისა და ინტერაქტიული სასწავლო გარემოების გამოყენება, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს განივითარონ 21-ე საუკუნისთვის აუცილებელი ციფრული კომპეტენციები და გაამდიდრონ ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა;
- სილაბუსები.

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

2.3. სასურველია თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და ციფრული ინსტრუმენტების უფრო აქტიური ინტეგრირება სწავლების მეთოდებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები]	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსისა და სამეცნიერო, კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების დოკუმენტის მიხედვით, ნაშრომის შეფასება სამი კომპონენტისგან შედგება: ხელმძღვანელის შეფასება (მაქსიმუმ 20 ქულა), რეცენზენტის შეფასება (მაქსიმუმ 20 ქულა) და დაცვის კომისიის შეფასება (მაქსიმუმ 60 ქულა). საჯარო დაცვის პროცესში აღნიშნული კომპონენტები ერთიან კომპლექსურ შეფასებად აერთიანდება. საყურადღებოა, რომ საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ხელმძღვანელის 20-ქულიანი შეფასებიდან მინიმუმ 10 ქულის მიღება. აღნიშნული შეფასების სტრუქტურა კითხვის ნიშანს ბადებს ერთიანი კომპლექსური შეფასების კონცეფციის გათვალისწინებით. ხელმძღვანელის შეფასება მთლიანი შეფასის მხოლოდ 20%-ს შეადგენს (100 ქულიდან 20), თუმცა ამის მიუხედავად, ხელმძღვანელს შეუძლია დაბლოკოს და არ გაუშვას სტუდენტი საჯარო დაცვაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის მინისტრის ბრძანებით (N3) დადგენილ სამართლებრივ მოთხოვნებთან, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას ერთიან, შემაჯამებელ პროცესად განსაზღვრავს. ასეთი სტრუქტურა არღვევს ერთიანი შეფასების პრინციპს, რადგან ერთ შემფასებელს ენიჭება შეფასების პროცესის შეწყვეტის უფლება. სათანადო მიდგომა იქნება ხელმძღვანელის შეფასების ფორმატიული უკუკავშირის სახით განხილვა, რომელიც საბოლოო შეფასებაში აისახება, მაგრამ არ წარმოადგენს სტუდენტის სრული შეფასების პროცესზე წვდომის შემზღუდველ საკვანძო მექანიზმს. შესაბამისად, რეკომენდებულია, ხელმძღვანელის შეფასება ჩამოყალიბდეს როგორც ფორმატიული უკუკავშირი, რომელიც წვლილს შეიტანს საბოლოო შეფასებაში და არა როგორც დამაბრკოლებელი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუშლის სტუდენტის დასკვნით შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგამა;
- სილაბუსები;
- სამეცნიერო, კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების დოკუმენტი

[რეკომენდაციები]

2.4. რეკომენდებულია, ხელმძღვანელის შეფასება ჩამოყალიბდეს როგორც ფორმატიული უკუკავშირი, რომელიც წვლილს შეიტანს საბოლოო შეფასებაში და არა როგორც დამაბრკოლებელი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუშლის სტუდენტის დასკვნით შეფასებას.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

2.4 სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2_მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით ამ საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა პროგრამაში არსებული აკადემიური პერსონალის ცვლილება ან განახლება.

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ პროგრამაში სულ ჩართულია 11 აკადემიური პერსონალი: 4 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი და 4 მოწვეული ლექტორი. პროგრამაში ჩართული 11 აკადემიური პერსონალიდან 7 არის დარგის მიმართულებით, საიდანაც 3 არის დარგში დოქტორის ხარისხის მქონე, 4 არის დარგში მაგისტრის ხარისხის მქონე. სამი დარგში დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვისა და განვითარებისთვის საჭირო ცონდასა და უნარებს. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და პუბლიკაციები შესაბამისია დარგის მოთხოვნებთან.

განსხვავებული მონაცემებია მოცემული თვითშეფასების დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც პროგრამაში ჩართულია სულ 8 პერსონალი, მათ შორის 4 მოწვეული ლექტორი. სხვა მონაცემები თანხვედრაშია. ასევე, განსხვავებული მონაცემებია მოცემული უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამის ხელმძღვანელად მითითებულია სხვა აკადემიური პერსონალი. განსხვავებულია აკადემიური პერსონალიც მონაცემები. ვებგვერზე მითითებულია 14 აკადემიური პერსონალი.

შესაბამისად, სასურველია ტექნიკურად გასწორდეს და თანხვედრაში მოვიდეს აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივ მონაცემები წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და ვებგბერდზე.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	11	7	3	8
- პროფესორი	4	3	2	4
- ასოცირებული პროფესორი	3	2	1	3
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	
- ასისტენტი	1	1	-	1
მოწვეული პერსონალი	3	1	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

4.1. სასურველია ტექნიკურად გასწორდეს და თანხვედრაში მოვიდეს აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივ მონაცემები წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და ვებგვერდზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის არის 6. პერსონალის კვალიფიკაცია და პუბლიკაციები შესაბამისობაშია დარგის მოთხოვნებთან. თუმცა, აქვე აღსანიშვანია, რომ მაგალითად, სამი დარგის პროფესორიდან მხოლოდ ერთ პროფესორს აქვს ბოლო გამოქვეყნება 2026 წელს, ხოლო დანარჩენ ორს აქვს 2024 და 2011 წლებში. დანარჩენი 8 აკადემიური პერსონალის ბოლო წლებში გამოიყურება შემდეგნაირად: 3- 2025 წელი, 4- 2024 წელი და 1- 2019. პუბლიკაციების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების ტენდენციები დაბალია. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ უფრო მეტად გააძლიეროს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობა, მათ შორის საერთაშორისო ჟურნალებში.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით** **დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	6	6	5
- პროფესორი	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	1	1	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პერსონალის პირადი საქმეები.

[რეკომენდაციები]

4.2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უფრო მეტად გააძლიეროს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობა, მათ შორის საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების კუთხით.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	მეტწილად შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით განახლება. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში აკადემიური პერსონალისთვის ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები მათი პროფესიული განვითარების მიზნით. კერძოდ, ორგანიზებული იქნა სამუშაო შეხვედრები და სასწავლო ტრენინგები, რომლებიც მოიცავდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული სტანდარტების სპეციფიკას, სასწავლო პროცესის ოპტიმალურ მართვას, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვასა და პლაგიატის პრევენციას, პროგრამისა და მისი შემადგენელი კომპონენტების სწავლის შედეგების განსაზღვრას, კომპეტენციების ჩამოყალიბებას, სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიას, ასევე შეფასების სისტემის. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა მტკიცებულებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით ამ საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა მატერიალური რესურსების ცვლილება ან განახლება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს ეს ქვესტანდარტი არ შეუფასებია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4. მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტში არ არის პროგრამის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოცემული. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის საჭიროებებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები

- არ გაცემულა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის

შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.2. გარე ხარისხის შეფასება]	აირჩიეთ შესაბამისი

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე



ეკატერინე ბაკარაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ეკატერინე ფიფია